საქართველოს მთავრობის განკარგულება

№648 2016 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემისა და თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის შექმნისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საჯარო სამსახურის ბიურომ განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი